დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს NK

შეფასების თარიღ(ებ)ი : 17-18 მაისი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი : 28 ივნისი, 2022 წელი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღვაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების სახელწოდება	შპს NK
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200272034

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ღრმაღელის ქ. #19
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, კოსტავას N 37
საფოსტო ინდექსი	0179
დაწესებულების ვებ-გვერდი	www. schoolnk.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@schoolnk.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995 32) 292 36 86 (+995) 595 55 88 12 (+995) 577 40 82 48 (+995) 591 32 32 54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნუგზარ ყენია
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	595 55 88 12
ელ-ფოსტა	-

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბატონ კახაბერ ერაძის MES 0 22 0000435243 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს NK - ში ვიზიტის შესახებ“ 2022 წლის 5 მაისი.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 17, 18 მაისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	თეონა ყაჭეიშვილი

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიდელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყაჭეიშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღვაჩვილი------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ბუჭაიშვ.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	მუხლი 7 / პუნქტი გ)	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	მუხლი 7 / პუნქტი დ)	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	მუხლი 7 / პუნქტი ე)	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☐	☒
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღვაჩვილი------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი		----------
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6.1*	<u>ა) საფრთხის შემცველია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება, ვინაიდან,</u> • <u>ცენტრალური გათბობის საქვაბე განთავსებულია სკოლის შიდა პერიმეტრზე და შენობას არ აქვს სართულებიდან მეორე საევაკუაციო გასასვლელი (კიბე).</u> *შენიშვნა: სკოლამ ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიმართა თბილისი ენერჯის, რომელმაც 2022 წლის 15 ივნისს მოახდინა ტექ. დათვალიერება, გაზგაყვანილობის შემოწმება და დაადგინა, რომ სკოლაში დამონტაჟებული დანადგარებიდან არ ფიქსირდება გაჟონვა (თბილისი ენერჯი, აქტი N 1063891).* • <u>დაწესებულების სპორტული დარბაზის გასახდელში დამონტაჟებულია გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი საშხაპისთვის.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		შენიშვნა: სკოლამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, წარმოადგინა დოკუმენტაცია სპორტული დარბაზის გასახდელში გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებლის ელექტრო გამაცხელებლით შეცვლასთან დაკავშირებით.
	2.6.5	ე) არ არის დაცული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების (გარდა გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება - ექსპლუატაციის წესი. სკოლა მდებარეობს ვერის ბაღში, არ არის შემოსაზღვრული ღობით, გარე პერიმეტრი კონტროლდება მხოლოდ ცენტრალურ შემოსასვლელთან განთავსებული 2 ვიდეო კამერით. დაწესებულების სრულ პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობა არ ხდება. *შენიშვნა: დაწესებულებამ წარმოადგინა 2 ახალი მაღალი პიქსელის ვიდეო კამერის შეძენისა და მისი გარე პერიმეტრზე მონტაჟის დამადასტურებელი მტკიცებულება.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	----------
ქვესტანდარტი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	1.3	სასურველია, სკოლის ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	----------
ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	----------
ქვესტანდარტი		

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სკოლის გამოცდილმა ბიბლიოთეკარმა უფროსკლასელთა თანამონაწილეობით, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნა სასკოლო ელექტრონული რესურსი - სკოლა NK - ის ელექტრონული ბიბლიოთეკის კარტოთეკა.

დაწესებულების მისია	შპს NK არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა აღზარდოს სწრაფადცვალებად გარემოში ადაპტირებადი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მოქალაქე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყარაბაგი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	2016 წელს განხორციელებული ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა შემდეგი რეკომენდაციები: 1. 2015-2016 სასწავლო წლის სსგ-ში არ იყო სასწავლო მასალის ჩამონათვალი და სასკოლო სასწავლო გეგმაში შეეტანათ სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების მიხედვით. 2. მეხუთე - მეექვსე კლასებში 4 საგანში დაგეგმილი წლიური გამოცდები გაეუქმებინათ. 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მენეჯმენტს გათვალისწინებული აქვს ორივე რეკომენდაცია.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 260	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ, შპს NK, წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილულია შპს NK -ის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (05.09.21 ბრძ. N01/145). სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თუმც, მისი მცირე ნაწილი თითქმის ,,კოპირებულია“ ესგ-დან და ნაკლებად ჩანს სკოლის ინდივიდუალიზმი. **2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:** • სკოლის მისია • შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა • მისია საფეხურების მიხედვით, სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები • პრიორიტეტული თემები და საგანმანათლებლო აქტივობები • სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები • განათლების ენები და ენობრივი განათლება • ძირითადი მეთოდური ორიენტირები • საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება • მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში • სკოლის საერთო კულტურა • დამრიგებელი • საგნობრივი კათედრები • საათობრივი ბადე • მოსწავლის შეფასების სისტემა • კლასის და საფეხურის დაძლევა • გამოცდის ტიპები • მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების აღიარება • გაცდენები • შინ სწავლება • ინკლუზიური განათლება • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე • ინდივიდუალური სასწავლო გეგმა • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი • სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრება და გაცდენები. სსსმ მოსწავლის შინ სწავლება • დისტანციური სწავლება, დისტანციური სწავლების მონიტორინგი • სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის წესი **სასწავლო წლის კალენდრის მიხედვით,** 2021-2022 სასწავლო წელი დაიწყო 15 სექტემბერს. 2021 წლის 4 ოქტომბრამდე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ფიქრიაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში **დისტანციურ სწავლება** მიმდინარეობდა სრულად ელექტრონული ფორმით ,,ZOOM”-ის გამოყენებით. **სასწავლო პროცესის ორგანიზება** - სკოლა ერთცვლიანია. პირველ კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთია, II-XII კლასებში - 40 წუთი. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 20 მოსწავლით. მისიიდან გამომდინარე, სწავლების სამივე საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ შემდეგ დამატებით მომსახურებებს:** • მე-2 კლასიდან მეორე უცხოურ ენად ისწავლება რუსული ენა; • გაზრდილია ინგლისური ენის საათების რაოდენობა გარკვეულ კლასებში. ეროვნული სასწავლო გეგმით განუსაზღვრელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებიდან ფაკულტატურული სახით შეთავაზებულია: • **V-VIII კლასებში** - იტალიური და გერმანული ენები; • **IX-XI კლასებში** - ძველი და თანამედროვე სამყარო ინგლისურ ლიტერატურაში; ტექსტის გააზრებისა და წერის საფუძვლები. სკოლამ წარმოადგინა თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის ამ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა. სკოლაში ფუნქციონერებს შემდგი წრეები: • მათემატიკის წრე (IX-XI კლასები); • ინგლისური ენის წრე (I , II, IV კლასები); • აერობიკა (I-IV კლასები); • გახანგრძლივებული სწავლების წრე 17:00 საათამდე (I-VI კლასებისთვის) .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღვანი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ...

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას, საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, შერჩეული აქვს შემდეგი არჩევითი საგნები: X - XI კლასებში - XIX – XX საუკუნეების ლიტერატურა; XII კლასში - მითოლოგია. ფიზიკური აღზრდის საათებიდან სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობდა კალათბურთს, ფეხბურთს, ფრენბურთს, მაგრამ ვიზიტის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება. დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ფეხბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი ჩაანაცვლა მაგიდის ჩოგბურთმა, აერობიკამ და მძლეოსნობამ (აღმოსავლური ორთაბრძოლები). სასკოლო სასწავლო გეგმის დანართს წარმოადგენს საათობრივი ბადე, ინდივიდუალური გეგმის ფორმა, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მოსწავლის შეფასების პრინციპები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობების, ჩატარებისა და აღდგენის წესი, ანალიზის ფორმები, სადამრიგებლო გეგმები პრიორიტეტული თემებით, მიზნებით და ჩატარების ვადებით. სკოლაში ფუნქციონირებს 13 ფინანსური კლასი. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელთა მუშაობა რეგულირდება დამრიგებლის დებულებით და სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლის მისიისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებულია სადამრიგებლო გეგმები თემებზე: პიროვნება, იდენტობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გაცნობა, კონფლიქტის მოგვარების გზები, არა ბულინგს და სხვა, **ინკლუზიური განათლება** - სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, სსსმ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულია სსგ-ის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის წესი. სასკოლო სასწავლო გეგმა, გარდა სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა, ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. მოსწავლეებისა და მშობლებისათვის მისი გაცნობა ხდება სწავლის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • მასწავლებლის პორტფოლიოები; • პედსაბჭოს ოქმები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან,მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სწავლა მიმდინარეობს სამივე საფეხურზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. კლასებში მოსწავლეთა კონტიგენტი ძირითადად მცირეა. მშობლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო პროექტებში. მათ შვილებთან ხშირად დამატებით, ინდივიდუალურად მუშაობენ მასწავლებლები. სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა. კერძოდ: • სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; • მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; • უცხო ენების კათედრა; • ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაწყებითი კლასების კათედრა. აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებულია საგნობრივ ჯგუფის ყველა მასწავლებელი. სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. სკოლის მასალებში ვხვდებით თემატურ გეგმებსა და მატრიცების, კომპლექსური დავალებების ნიმუშებს. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა ამ მიმართულებით გეგმავს შემდეგ აქტივობებს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების განახლებას, კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების აქტიურად დანერგვას ყველა კლასსა და საგანში, პედაგოგთა გადამზადებას და სხვა. მშობელთა და მოსწავლეთა ანკეტირების შედეგების გათვალისწინებით, ვლინდება, რომ მოსწავლეები იძენენ ესგ - ით გათვალისწინებულ შესაბამის ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები; • სასკოლო სასწავლო გეგმა და მისი შემადგენელი ნაწილები; • თემატური გეგმები, თემატური მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშები რეფლექსიებით; • სასკოლო აქტივობების კალენდარი; • საგნობრივი კათედრების სხდომათა ოქმები; • პედსაბჭოს სხდომის ოქმები; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლა NK-ის ამ ეტაპზე ჰყავს მხოლოდ ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე. დირექტორის 2021 წლის 29 სექტემბრის №01/192 ბრძანებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით დამტკიცებულია აღნიშნული სსსმ მოსწავლის ისგ გუნდი, რომლის კოორდინატორია სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, ხოლო წევრები არიან საგნის მასწავლებლები, სსსმ მოსწავლის მშობელი და სკოლის ფსიქოლოგი. სსსმ მოსწავლისათვის შედგენილია შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ყველა საგანში მომზადებულია დასკვნა, გაწერილია სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. წარმოდგენილია 2021-2022 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა. სკოლას, 2021 წლის სექტემბრიდან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება **ფსიქოლოგთან.** სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში, კერძოდ, ინკლუზიური განათლების განხორციელების 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ისგ ჯგუფის წევრთა, მათ შორის, მე-8 , მე-12, მე-14 და მე-17 პუნქტებში, სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობები. გარდა ამისა, 2021-2022 სასწავლო წლის ისგ ჯგუფის 20.01.2022 წლის N 3 სხდომის ოქმში ვხვდებით ჩანაწერს, რომ სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: - თ. მიღელაშვილი ------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყოჩაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფსიქოლოგი მუდმივად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან და ხელს უწყობს მის სოციალიზაციას. სამწუხაროდ, ფსიქოლოგთან გასაუბრებისას, დადგინდა, რომ იგი არ ფლობს ინფორმაციას სსსმ მოსწავლის საჭიროებებისა და მიღწევების შესახებ, არ არის ჩართული მოსწავლესთან ინდივიდუალურ მუშაობაში, არ უწევს სუპერვიზიას მას და შესაბამისად, კოგნიტური შეფასების ნაწილში არ ფლობს „განსაკუთრებული“ საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ სრულ ინფორმაციას. ფსიქოლოგმა წლის განმავლობაში რამდენიმე კლასთან შეძლო შეხვედრა და ფსიქოლოგიური მომსახურების პრაქტიკული ნაწილი მხოლოდ მოსწავლეთა ჯგუფურ დაკვირვების პროცესს და სხვადასხვა ფსიქოლოგიურ თამაშს მოიცავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ისგ-ს დამტკიცებული ფორმა; • 21.09.2021 წლის „ისგ-ს შექმნის შესახებ ბრძანება; • 2021-2022 წლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა; • 07/09/2018 წლის №01/90 ბრძანება ,,ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნაზე“; • 2021-2022 სასწავლო წლის ისგ ჯგუფის 20.01.2022 წლის N 3 სხდომის ოქმი; • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა; • ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ფუტკარაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	გეგმის მოთხოვნებს. საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. დაწყებით საფეხურზე კი (პირველ-მეოთხე კლასსა და მეხუთე კლასის პირველი სემესტრში) - განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია სემესტრული, ექსტერნი და საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ საგანში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების წესი. წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები საშუალებას აძლევს მასწავლებელს დეტალურად გააანალიზოს მოსწავლეთა მიღწევები. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართს წარმოადგენს კომპონენტებისა მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები. რუბრიკების უმეტესობა ანალიტიკურია. მოსწავლეთა ყოველდღიურ გაცდენებს ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხავს საგნის მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო - სასწავლო გეგმა; • შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა; • კათედრის სხდომის ოქმები; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან; • შეფასების რუბრიკები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მშობელთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლის მიერ ხდება ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების (სსგ-ის, შეფასების პრინციპების, შინაგანაწესის, აქტივობების კალენდრის და სხვა) მოსწავლეებისათვის წინასწარ გაცნობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის მუშაობის პრინციპები, მოვალეობები. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. კლასის დამრიგებლები თითოეული მოსწავლის აკადემიურ მიღწევას მშობელს აცნობენ ინდივიდუალურად, ელექტრონულ ფორმატში და/ან ტელეფონით. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებითაც. მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. სემესტრში რამდენჯერმე როგორც დისტანციურ რეჟიმში, ისე რეგულაციების სრული დაცვით, სასკოლო სივრცეში ტარდება მშობელთა კრებები. ინტერვიუირებისას მშობლები აღნიშნავენ, რომ აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ელექტრონული ჟურნალი; • ინტერვიუები დამრიგებლებთან, მშობლებთან; • სკოლის ვებ-გვერდი; • მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია); • მშობელთა კრების ოქმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელებისა და გაუმჯობესების მექანიზმები'', ხარისხის მართვის მექანიზმები, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შეფასება და სწავლების ხარისხის ანალიზი. გარდა ამისა, ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასება და ანალიზი. შუალედური მონიტორინგისა და დაკვირვების საფუძველზე იკვეთება დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, საჭიროებები და დგინდება პრობლემის მოგვარების გზები. პირველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს, შემოწმების შედეგების, ანგარიშებისა და ანალიზების საფუძველზე იქმნება SWOT ანალიზი. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები, ხარისხის მართვის მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც აგებულია შემდეგ პრინციპზე: დაგეგმე, განახორციელე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ფუტკარაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეამოწმე, განავითარე. სკოლის ხარისხის სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ✓ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და შედეგების გაუმჯობესება; ✓ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო გეგმების შესრულების მუდმივი მონიტორინგი და გაუმჯობესების მიზნით მათი მოდიფიცირება; ✓ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; ✓ კომუნიკაციის გაუმჯობესება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის; ✓ სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისობაზე ზრუნვა საკანონმდებლო აქტებთან და განათლების პოლიტიკასთან მიმართებაში; ✓ მონიტორინგის ჯგუფის შედეგების ანალიზი. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმებში, ადმინისტრაციის ანგარიშებში, ანკეტირების/გამოკითხვის შედეგებში ასახულია სკოლის მიღწევები და პოლიტიკა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები; • ინტერვიუები სასკოლო საზოგადოებასთან; • ხარისხის მართვის მექანიზმები; • ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა; • მშობელთა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა კითხვარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	-
რჩევები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ფუტკარაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	-
ხარვეზები:	-
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 2687კვ.მ;	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს NK (ს/კ: 200012743) მდებარეობს ქალაქ თბილისში, მერაბ კოსტავას N 37 -ში მდებარე შენობის მე-3 და მე-4 სართულზე. სკოლას იჯარით აქვს აღებული 1327,92ვ კვ. მეტრი ფართი შემდეგი მესაკუთრისგან: ✓ მესაკუთრე - გიორგი კანდელაკი - 355 კვ. მეტრი, მე-2 სართულზე, 04/08/2030 წლამდე ვადით; ✓ მესაკუთრე - ქეთი სამსონია - 244 კვ. მეტრი, მე-3 სართულზე, 07/06/2030 წლამდე ვადით; ✓ გამქირავებელი - სალომე სამსონია - 244 კვ. მეტრი, მე-3 სართულზე, 07/06/2030 წლამდე ვადით; ✓ მეიჯარე - შპს ,,ალმა 2021“ - 322, 14 კვ. მეტრი, მე-4 სართულზე, 20/10/2030 წლამდე ვადით; ✓ მეიჯარე - ნუნუ ცხვედაძე -162, 78 კვ.მეტრი, მე-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	4 სართულზე, 07/06/2030 წლამდე ვადით;
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 37
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.15.03.010.007**
კვ.მ.	**საერთო ფართი 1327,92 კვ. მეტრი ფართი;**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • იჯარის ხელშეკრულებები; • ხელშეკრულების შეთანხმებები (ხელშეკრულების გაგრძელების დანართები); • შენობების (მე-3 და მე-4 სართულის) შიდა აზომვითი ნახაზები.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში 15 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით (270 ცალი) და სკამებით (სულ 267), მასწავლებლის მაგიდით, სასკოლო დაფებით, მათ შორის, 2 თეთრი მაგნიტური დაფით და კარადებით. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. მე-3 სართულზე მდებარეობს 13 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი/ექიმის ოთახი და სველი წერტილები. მე-4 სართულზე განლაგებულია: 2 საკლასო ოთახი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინფორმატიკის კაბინეტი, საიზოლაციო ოთახი, საკონფერენციო ოთახი, სასადილო, ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახი და სველი წერტილები. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის დამხმარე მასალები: პლაკატები, ქიმიური ტაბულები, სქემები და სხვა მატერიალური საშუალებები. გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები: ნახატები, პოსტერები, კედლის გაზეთები, სუვენირები, მოსწავლეთა ჯილდოები, თასები, სიგელები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • შიდა აზომვითი ნახაზით; • სასკოლო ინვენტარის (მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა) ფლობის დოკუმენტებით: ✓ სასაქონლო ზედნადებებით; ✓ საგადასახადო გადარიცხვის ქვითრებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა NK-ს სპორტული დარბაზი (რომელიც იმავე შენობის მე-2 სართულზეა განთავსებული), იჯარით აქვს აღებული კრივის ფედერაციისგან. 2011 წლის 27 მაისის ქირავნობის ხელშეკრულებაში 2021 წლის 4 აგვისტოს შესულია ცვლილება, რის საფუძველზეც, სპორტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დარბაზის იჯარის ვადა გაგრძელებულია 2030 წლამდე. სპორტული დარბაზის სრული ფართია - 355 კვ. მეტრი. სასწავლო დაწესებულება სპორტულ დარბაზს კონკრეტულ საათებში, კერძოდ, 9:00 საათიდან - 12:00 საათამდე იყენებს. სპორტულ დარბაზში სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის სკოლას შედგენილი აქვს სპორტული დარბაზით სარგებლობის განრიგი. სკოლას აქვს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები, ე.წ. „ფიშკები“, მაგიდის ჩოგბურთი. სკოლის ადმინისტრაციის ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა, რომ იჯარით აღებულ კრივის დარბაზს ზონალური პრინციპით იყენებდა. სპორტის მასწავლებლის განმარტებით, სპორტის გაკვეთილებს ხშირად მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ქალაქ თბილისის მერიის მიერ რეაბილიტირებულ სპორტულ ღია მოედანზეც ატარებს. თუმცა, დირექციამ აღნიშნული მოედნით სარგებლობის დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს მესამე საფეხურზე არჩეული ჰქონდა სპორტის 3 სახეობა: ფეხბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი. კრივის დარბაზში სპორტის ამ სახეობების სწავლება სირთულეს წარმოადგენდა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, დირექტორის № 01/20 ბრძანების შესაბამისად, სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება საშუალო საფეხურზე, სკოლის გარემოსა და მატერიალური ბაზის გათვალისწინებით შესასწავლი სპორტული სახეობების შერჩევაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბრძანების საფუძველზე, ფეხბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი ჩაანაცვლა მაგიდის ჩოგბურთმა, აერობიკამ და მძლეოსნობამ (აღმოსავლური ორთაბრძოლები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: - თ. მიღელაშვილი ------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნულ სახეობებში მე-10, მე-11 და მე-12 კლასებისათვის შემუშავდა პროგრამა. შპს "NK"-ის მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ შეთავაზებული სპორტის სახეობებიდან, აირჩიონ ერთ-ერთი. ,,სამივე სპორტის სახეობის სასწავლო პროგრამა კომბინირებულია ფიზიკურ აღზრდასთან."- აღნიშნულია ცვლილების დოკუმენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით; • იჯარის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი 05/08/2021 წელი ქონების ეროვნული სააგენტო); • საჯარო რეესტრის ამონაწერით; • 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმით (დამტკიცების თარიღი 05/09/2021 წელი); • 2022 წლის 18 მაისის №01/20 ბრძანებით; • ინტერვიუებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა NK -ს აქვს 2 ლაბორატორია: საბუნებისმეტყველო და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია მდებარეობს სკოლის მე-3 სართულზე. კაბინეტში ცალ-ცალკე იზოლირებულ, ჩამკეტიან სამ კარადაში, განთავსებულია სამივე საგნის (ფიზიკის, ბიოლოგიის და ქიმიის) შესაბამისი ინვენტარი და რეაქტივები. კაბინეტში გამოკრულია მიზნობრივი სასწავლო რესურსები და ლაბორატორიით სარგებლობის წესი. აღსანიშნავია, რომ სკოლას შეძენილი აქვს ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიოლოგიის (ანატომიის) მულაჟები, ფიზიკის (ასტრონომიის) ეფექტური, თანამედროვე მაკეტები, დიდი მონიტორი სიმულაციური ცდებისათვის. აღნიშნულ კაბინეტს აქვს ონკანი - ნიჟარით და ფანჯარა ბუნებრივი ვენტილაციისათვის. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური კაბინეტი/ლაბორატორია განთავსებულია მე-4 სართულზე. ინტერნეტის ქსელში ჩართულია 7 კომპიუტერი და 5 ლეპტოპი. ამავე კაბინეტშია ორი პრინტერი (მათ შორის ერთი-მულტიფუნქციური) და პროექტორი. ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ ცამეტივე კომპიუტერული მოწყობილობა გამართულია და ინტერნეტის მუდმივ ქსელთანაა მიერთებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ლაბორატორიით სარგებლობის წესით; • 11 მაისის, 2021 წლის საგადახდო დავალების ქვითრით; • ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ნათელი საკლასო ოთახები, ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ცენტრალური გათბობა. ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. აქედან, ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადაპტირებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. არის ონკანები, ნიჟარები, სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, თავსახურიანი ურნებით. <u>სველ წერტილებთან სართულზე არ იყო განლაგებული დეზობარიერები.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • დენის, გაზის და წყლის გადახდის ქვითრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო ბიბლიოთეკა განთავსებულია სკოლის შენობის მე-4 სართულზე. ის შედგება ცალკე ბიბლიოთეკისაგან და ცალკე სამკითხველო დარბაზისგან. ბიბლიოთეკის საცავში, თაროებზე წიგნები განთავსებულია თემატურად. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. ბიბლიოთეკაში არის ერთი ლეპტოპი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური კატალოგის მიხედვით. შპს „NK” - ის ჰყავს კვალიფიცირებული ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია 1183 ცალი წიგნი, აქედან გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოა - 114 (განახლებულია მე-9 კლასის სახელმძღვანელოები), მხატვრული ჟანრის ლიტერატურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	- 1069. ცალკეა პერიოდიკა - ჟურნალი „მასწავლებელი“ და გაზეთი „ახალი განათლება“. სკოლას შეძენილი აქვს საკატალოგო ბარათები, წიგნის ფორმულარები, ჯიბაკები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრიფმინიჭებული წიგნები და დამატებითი ლიტერატურა კლასების და საგნების მიხედვით წარმოდგენილია სრულად. ყოველწლიურად, მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით, ხდება ბიბლიოთეკის განახლება. ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლამ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მოთხოვნით შეიძინა მზექალა შანიძის გრამატიკა - „ქართული ენა“. სკოლას აქვს მოსწავლეების მონაწილეობით შექმნილი სკოლის ბიბლიოთეკის კარტოთეკა (ელექტრო კატალოგის სახით).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკართან დადებული ხელშეკრულებით; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით: მიღება-ჩაბარების აქტით, შესყიდვის დოკუმენტებით; • ვიზუალური დათვალიერებით; • ბიბლიოთეკართან ინტერვიუირებით; • პერიოდიკის მომწოდებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით; • საბიბლიოთეკო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით; • ბიბლიოთეკის დებულებით; • დოკუმენტით - ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით; • საგადახდო დავალებებით; • მკითხველთა ფორმულარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: - თ. მიღვაშვილი ------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. მოძრავი ხის პანდუსითაა აღჭურვილი ადაპტირებული სველი წერტილის შესასვლელი მე-4 სართულზე. აღნიშნული სველი წერტილი მოსახერხებელია ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის, აქვს დიდი ფართი ეტლის მოსატრიალებლად და შესაძლებელია სსსმ მოსწავლისთვის ხელის ორივე მოსაჭიდი სახელურის დანიშნულებისამებრ გამოყენება. გადასაადგილებლად, კიბეებისთვის (პირველი სართულიდან - მეოთხე სართულის ჩათვლით) დამზადებულია რკინის პანდუსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • მიღება-ჩაბარების აქტით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი 19 კომპიუტერი. კომპიუტერები გადანაწილებულია კომპიუტერულ კლასში-13,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ფუტკარაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამასწავლებლოში, ექიმის კაბინეტში, ბიბლიოთეკაში და ადმინისტრაციის ოთახებში. სამასწავლებლოსა და ადმინისტრაციის ოთახებში, კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად, განთავსებულია პრინტერები და მულტიპრინტერები (პრინტერი+ქსეროქსი+სკანერი). საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი http://schoolnk.ge/ ელ.ფოსტა info@schoolnk.ge და აქტიურად მუშაობს სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/NationalKnowledge/. სკოლაში მოქმედებს ელ. ჟურნალი - https://www.tvschool.ge/ , რომელშიც ყოველდღიურად, მასწავლებელს შეჰყავს მონაცემები თითოეული მოსწავლის დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია მშობლისთვის. ჟურნალში შესაძლებელია როგორც შეფასების, ასევე განმავითარებელი კომენტარის შეტანა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერებით; • ელ. ჟურნალის ვიზუალური დათვალიერებით; • მომსახურების ხელშეკრულებებით; • საგადახდო დავალებები; • კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყოფაჩაძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ცეცხლმაქრები (სულ ოთხი) განთავსებულია სკოლის საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები, დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. სკოლის შენობას აქვს **მხოლოდ ერთი** საევაკუაციო გასასვლელი - ცენტრალური კარი და კიბე (მათ შორის, საერთო მოხმარების პირველ და მეორე სართულზე). <u>სკოლის შენობაში, მე-3 სართულზე სველი წერტილების გვერდით, პატარა საკუჭნაოში განლაგებულია ცენტრალური გათბობის 2 ქვაბი. ასევე, სპორტული დარბაზის გასახდელში მდებარეობს გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი საშხაპისთვის.</u> სკოლას შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ცეცხლმაქრების ჩუქების ხელშეკრულება; • ცეცხლმაქრების დატენვის საგადახდო დავალება; • 2021 წლის 12 აგვისტოს № MIA 02102121277 საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ „შენობა - ნაგებობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი №688 მიწერილობა“.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შესრულებულია ქ. თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თვალისაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელშეკრულებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, რომელიც სრულად პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს, კერძოდ: სკოლას ემსახურება ექიმი (რომელმაც 2022 წლის 11 მაისიდან ჩაანაცვლა სკოლის ექთანი). ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა. მედიკამენტების გაცემა აღირიცხება ექიმის მიერ სპეციალურ ჟურნალში. გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი, სკამები, შირმა, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი. სკოლას აქვს სამედიცინო მომსახურის დებულება. საქართველოში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, შენობის შესასვლელთან არის დეზობარიერი, სადეზინფექციო სითხე და ხდება ტემპერატურის კონტროლი/თერმოსკრინინგი. ასევე, სკოლას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: - თ. მიღელაშვილი ------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კოვიდრეგულაციების შესაბამისი დოკუმენტაცია, პრევენციის სამოქმედო გეგმა. სკოლაში მე-4 სართულზე განლაგებულია საიზოლაციო ოთახი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სამედიცინო მომსახურის დებულებით; • პირველადი სამედიცინო მედიკამენტების და ინვენტარის ჩუქების ხელშეკრულებით; • ექიმთან ხელშეკრულებით; • ექიმთან გასაუბრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობა არ არის შემოღობილი. შენობა მდებარეობს რეკრეაციულ ზონაში - ვერის პარკში. აღნიშნული შენობას სხვა დაწესებულებებიც იყენებენ. შესაბამისად, სკოლა NK- ს აქვს საერთო შესასვლელი. ასევე, მეორე სართულზე განლაგებულ სპორტდარბაზს სკოლა იყენებს დილის საათებში, ხოლო შემდეგ - კრივის კლუბი. სკოლას ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოცხადებულ მოსწავლეთა შემოსვლა-გასვლასა და შენობაში უცხო პირის გადაადგილების კონტროლს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დებულება -„უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ • ვიზუალური დათვალიერება; • წერილი MES 4 20 00043745 17/01/2020 -საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების გარე პერიმეტრი, ეზო და შიდა შენობა კონტროლდება ვიდეო მეთვალყურეობის კამერებით. სკოლაში სულ 9 უსაფრთხოების კამერაა, 7 ვიდეოთვალი შიდა პერიმეტრზეა დამონტაჟებული. სკოლის გარე პერიმეტრზე - ცენტრალურ შესასვლელში არის მაღალი პიქსელის - 2 მეგაფიქსელის ვიდეო კამერა, რომელიც აკონტროლებს მხოლოდ არსებული შენობის ცენტრალურ ნაწილს. აღნიშნული დაწესებულების <u>გარე პერიმეტრის უკანა ნაწილი მეთვალყურეობის არეალში არ ხვდება!</u> <u>დაწესებულებას გარე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>პერიმეტრის კონტროლისთვის ესაჭიროება 2 მაღალი პიქსელის ვიდეო კამერის დამატება.</u> ვიდეოჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება დირექციის წარმომადგენელი. დამონტაჟებული ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით; • სასაქონლო ზედნადებებით; • შრომითი ხელშეკრულებით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს წესდება, სკოლის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ასევე სამსახურებრივი ინსტრუქციები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. შინაგანაწესში გაწერილია ზოგადი დებულებები, შრომითი ურთიერთობების წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და საბოლოო ანგარიშსწორების წესი, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლეთა უფლები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვალდებულებები, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სხვა სკოლაში მოსწავლის გადაყვანის პირობები, მოსწავლის პირადი გასინჯვის, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის ინსტრუქციები, ექსკურსიის ორგანიზების წესი და სხვა. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე,მოსწავლეებსა და მშობლებზე/მათ კანონიერ წარმომადგენლებზე. სკოლასა და მოსწავლეს კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში დარეგულირებულია მოსწავლის პერსონალური მონაცემების შენახვის, დამუშავების, გამოყენების და სხვა წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესით; • წესდებით; • სტრუქტურულ ერთეულთა დებულებებით; • საქმისწარმოების წესით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი 2022 წლის სამოქმედო და ექვსწლიანი 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც სასწავლო პროცესის, ისე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაგეგმვის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პროცესებს, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. სკოლის გასაუმჯობესებელი პრიორიტეტული საკითხებია: კეთილმოწყობილი უსაფრთხო გარემო, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა. სკოლა გასაუმჯობესებელ მხარედ მიიჩნევს საკლასო ოთახების კომპიუტერიზაციას და სხვა სასწავლო აუცილებელი რესურსებით აღჭურვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით; • 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმით; • ვიზუალური დათვალიერებით; • გასაუბრებით სკოლის დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება. საქმისწარმოების ორგანიზებას ახორციელებს სკოლის საქმეთა მმართველი. საქმისწარმოება მოიცავს შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვას, ბრძანებების რეგისტრაციას და აღრიცხვას, სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებების რეგისტრაციას და აღრიცხვას, საარქივო დოკუმენტების წარმოებას. ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია და დამოწმებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღვაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული კორესპოდენციების საქაღალდით; • გასული კორესპოდენციების საქაღალდით; • საერთო და საკადრო ბრძანებების ჟურნალით; • მოსწავლეთა ანბანური ჟურნალით; • თანამშრომელთა ხელშეკრულებების საქაღალდით; • მშობელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალით; • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. **რეკომენდაცია:** **1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია საქვაბის შენობის გარეთ გატანის თაობაზე პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.** **2. სპორტული დარბაზის გასახდელში მდებარეობს გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი საშხაპისთვის. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებლის ელექტრო გამაცხელებლით შეცვლის თაობაზე.** ე) ვიდეომეთვალყურეობის სისტემები და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეკომენდაცია: სკოლის შენობის გარე პერიმეტრის სრული მეთვალყურეობის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დამატებით, გარე პერიმეტრზე 2 ვიდეო კამერის დამონტაჟების თაობაზე.
რჩევები:	----
ხარვეზები:	1. ცენტრალური გათბობის 2 ქვაბი დამონტაჟებულია შენობის შიგნით, საკლასო ოთახებისა და სველი წერტილების გვერდით, რაც საფრთხეს უქმნის სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს. 2. სპორტული დარბაზის გასახდელში მდებარეობს გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი საშხაპისთვის, რაც საფრთხეს უქმნის სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს. 3. სკოლის შენობის გარე პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება, მხოლოდ ორი ვიდეო კამერაა დამონტაჟებული დაწესებულების ცენტრალურ შესასვლელთან. დაწესებულების სრულ პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობა არ ხდება. არ არის დაცული „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების (გარდა გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება -ექსპლუატაციის წესი.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ბუაჩიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში ირიცხება 123 მოსწავლე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია **39** თანამშრომელი. საშტატო განრიგით განსაზღვრულია ნუსხა თანამდებობრივი ერთეულების მითითებით. სკოლაში ასწავლის **23** მასწავლებელი. აქედან: ✓ **მაძიებელია - 4** . (მათგან, ერთ მასწავლებელს მინიჭებული აქვს მაძიებლის სტატუსი და დასაქმებულია 9 საათიანი დატვირთვით). ერთი პედაგოგი სტატუსის ვადის გასვლის გამო 9 საათის დატვირთვით გადასულია მოწვეული მასწავლებლის სტატუსში, რაზეც 2022 წლის 18 მაისს სკოლის მიერ შესაბამის უწყებაში გაგზავნილია წერილი/შეტყობინება, ბაზაში კორექტირების მიზნით. ✓ **წამყავი მასწავლებლის** სტატუსი აქვს 3-ს. ✓ **უფროსი მასწავლებლის** სტატუსი 13-ს. ადმინისტრაციული სტრუქტურის წარმომადგენლები არიან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი. სკოლის საშტატო ჩამონათვალშია: საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, დირექტორის მრჩეველი, ფინანსური მენეჯერი, ბუღალტერი, დამლაგებელი. მათი ფუნქციები გაწერილია დებულებაში და შრომით ხელშეკრულებაში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგით; • შრომითი ხელშეკრულებებით; • 2022 წლის 18 მაისს emis -ის სახელზე მიწერილი წერილით; • საათობრივი ბადით, მასწავლებელთა დატვირთვით; • პირადი საქმეებით; • eschool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	4
პრაქტიკოსი მასწავლებელი	3
უფროსი მასწავლებელი	13
წამყვანი მასწავლებელი	3
მენტორის სტატუსი	0
უსტატუსო	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დასაქმებულ ყველა მასწავლებელს უდასტურდება კვალიფიკაცია იმ საგანში ან საგნებში, რომელთაც ასწავლის. მოწვეული სტატუსის მქონე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეადგენს მაქსიმუმ 9 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამისი კვალიფიკაცია უდასტურდება სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსაც. თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პირადი საქმეებით; • სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატებით; • eschool-ის მართვის ერთიანი საინფორმაციო ბაზით; • ინტერვიუირებით დირექციასთან და საქმისმწარმოებელთან; • შრომითი ხელშეკრულებებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა NK-ში ყველა მასწავლებელი შერჩეულია კონკურსის გზით. მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. ვაკანსიები ცხადდება **http://teacherjobs.ge/** -ზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. დოკუმენტის- „შრომითი ურთიერთობის წარმოშობა“ მე-4 თავის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ვხვდებით ჩანაწერს: „ განცხადების გავრცელება სასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესახებ ხდება ელექტრონული/მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით,“ რაც მიგვანიშნებს ვაკანტურ ადგილზე პოტენციური დასაქმებულის მიღების გამჭვირვალე პროცედურაზე. ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში (სკოლის სოციალურ ქსელში, jobs.ge –ზე და სხვა). შინაგანაწესის მიხედვით, კონკურსი თანამშრომლის შერჩევაზე ორეტაპიანია: პირველი ეტაპი - პირველადი შერჩევა და მეორე ეტაპი - გასაუბრება. აღნიშნული დაწესებულების შინაგანაწესში ასევე გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღება - გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინარული გადაცდომების, სანქციების წესი. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით გამოყენებულია თანამშრომელთა წახალისების შემდეგი ფორმები: ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესით; • სკოლაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა NK-ში ყველა დასაქმებულთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები შეესაბამება შრომის კოდექსს და მოქმედ კანონმდებლობას. ყველა ხელშეკრულებას აქვს პირადი ნომერი, გაფორმების თარიღი, დამსაქმებლის და დასაქმებულის ხელმოწერა და ბეჭედი; ყველა ხელშეკრულება გატარებულია სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლის პერსონალის სამუშაო ინსტრუქციები/სამუშაო აღწერები გვხდება დებულებაში და ჩაშენებულია ხელშეკრულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებებით; • ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალით; • საქმისწარმოების წესით; • დებულებებით და სამუშაო ინსტრუქციებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ერთიანი პოლიტიკა. დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“ . ფოკუსჯგუფში გასაუბრებით და საგნობრივი კათედრის ოქმებში არსებული ჩანაწერებით დადგინდა, რომ პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ხშირია მასწავლებელთა ურთიერთდასწრებები. სკოლის მასწავლებლები არიან ერთმანეთის „კრიტიკული მეგობრები“ და ეს მიდგომა, უკვე აღნიშნული დაწესებულების კულტურის ნაწილია. სკოლის მასწავლებელთა ნაწილმა წელს გაიარა მასწავლებლის სახლის აკრედიტირებული გრძელვადიანი ტრენინგები. პროფესიული მხარდაჭერის მიზნით, სკოლის ადმინისტრაციამ საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეებთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა - „პროფესიული მხარდაჭერის აქტივობები“. აღსანიშნავია, რომ სკოლის თანამშრომლებს გავლილი აქვთ ტრენინგები პერსონალისთვის შრომის უსაფრთხოებასა და სახანძრო უსაფრთხოებაში. სკოლა NK-ის შემუშავებული აქვს დოკუმენტი - „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით“; • „ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები დებულებით“; • პროფესიული მხარდაჭერის აქტივობებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის კეთილგანწყობილი გარემო. მშობლებთან ინტერვიურებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემოა. მშობლებმა ფოკუს-ჯგუფში ისაუბრეს მოსწავლეებისადმი სკოლის დირექციის მზრუნველ დამოკიდებულებაზე. მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლების თბილი და თანამშრომლობითი ურთიერთობა, ოჯახური გარემო და მოსწავლეებზე ზრუნვა. სკოლის ღონისძიებების უმრავლესობა ტოლერანტული თემატიკისაა. ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ მოსწავლის კონფლიქტის შესახებ ზოგჯერ მშობელი არ არის ინფორმირებული, სკოლის ფსიქოლოგი არ არის ჩართული კონფლიქტის მოგვარებაში, თუმცა, კლასის დამრიგებლის დახმარებით დროულად იმუხტება სიტუაცია. მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფში პედაგოგებმა გაიხსენეს პანდემიის დრო, როდესაც ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, მოსწავლეები მასწავლებლებს აქტიურად და ხალისით უწევდნენ დახმარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან; • ფოკუს ჯგუფი მოსწავლეთა მშობლებთან; • ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღელაშვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ყიფიანი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ დირექტორთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	----------
რჩევები:	სკოლაში კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნაში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სკოლის ფსიქოლოგმა.
ხარვეზები:	----------
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

1. ბრძანება ექსპერტთა ვიზიტზე პასუხისმგებელი პირის შესახებ (1 გვ) ;
2. ბრძანება 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო - სასწავლო გეგმაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თემატურ გეგმის ცვლილების შესახებ (1 გვ);
3. ბრძანება თერმოსკრინინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ (1გვ);
4. სპორტის 2021-2022 სასწავლო წლის სასწავლო პროგრამა (12 გვ);
5. წერილი საგანმანათლებლო რესურსცენტრს (1 გვ);
6. ექიმის ხელშეკრულება (6 გვ);
7. პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები (6 გვ);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -თ. მიღვაჩვილი------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ბუკია-ბა.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

8. ვიდეო კამერების შეძენისა და მონტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (4 გვ);
9. ელექტრო გამაცხელებლის ნასყიდობისა და მონტაჟის მტკიცებულებები (10 გვ);
10. თბილისი ენერჯის ტექ. დათვალიერების აქტი(1 გვ);
11. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2021-2022 ს.წ. (8 გვ);
12. ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება (2 გვ);
13. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N688 (12.08.2021) მიწერილობა (6 გვ);
14. მე-3 სართულის აზომვითი ნახაზი (1 გვ).

გვერდების რაოდენობა 60 (სამოცი) გვერდი

ქ.თბილისი

თარიღი: 28.06. 2022

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

თ. მიღელაშვილი

წევრი:

50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: - თ. მიღელაშვილი ------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.